მეორე გარემოება: ბ-ნი მეგახლავარი, მოგეთხრობს რა ილია ჭავჭავაძის გამოსვლის ამბავს სალიტერატურო ასპარეზზე, გაკვირებს: „ილია ჭავჭავაძე პირველ დღიდანვე გაჰყვდა ქართულს მწერლობაში... იგი დიქტატორულის ძალ-ღონით პაპანკელას ჩვენს ლიტერატურაში იმ თავიდანვე დღემდის ირმოცი წლის მანძილზეო“ (გვ. 23. ხაზ ვასშული სიტყვები ამ წერილში ყოველგვარ ჩვენ გვეუკუთნის). უნდა გამოვტყუდებ, რომ გამეფებდა და დიქტატორული ბრძანებლობა მწერლობაში, ეგრეთვე სასარგებლო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. პირიქით, სასარგებლო და ნაყოფიერ გვეყენებს მწერალი თუ, მოღვაწე მხოლოდ მაშინ ახდენს საზოგადოებაზე, როცა ასეთ ბრძანებლობას, ერთსა თუ რამდენისამე პირისას, თან-და-თან აუსტტებს და სამუდამოთ სპაზს. ერთი კაცის ვაბატონება მწერლობაში, მისი დიქტატორული ბრძანებლობის ქვეშ ქედის მოხრა და დამორჩილება, ნიშნავს საზოგადოებრივი განვითარების შეჩერებას, გაყინვას და საზოგადოებრივი აზროვნების ჩაქრებას. ნუ თუ ამას ემსახურებოდა ილია ჭავჭავაძე „ორმოცი წლის მანძილზე?“ „დიქტატორული ბრძანებლობას“ შეიძლება სასარგებლოდ მოატანა შექმლის სხვა ადგილას, ხოლო მწერლობაში იგი ყოველთვის და ყოველგვარ მანერველი იქნება. თვით ლიტერატურის პირიქითი, მისი დედა-აზრი, პარადპირ ეწინააღმდეგება ასეთ ბრძანებლობას. ამიტომ თუ ილია ჭავჭავაძეს თავისი მოღვაწეობა სასარგებლოთ მიანიჩა საზოგადოებისთვის, მან საქვეყნოთ უნდა უარჰყოოს ის ცილი, რომელსაც მას ბ-ნი მეგახლავარი სწამობს, თორემ ჩვენ ექვეში შევალთ: ვინ იცის, შეიძლება, ეს მართლა ასე იყოს და იმ შემთხვევაში თუ-თ ბ-ნი მეგახლავარი მთელი თავისი ლიტერატურული მოღვაწეობით იღ, ჭავჭავაძის დიქტატორული ბრძანებლობის მონაბერი იქნება!

წინეს სიპატარავე სრულებით არ უშლის იმ გარემოებას, რომ ბ-ნი მეგახლავარის ბრაშოურა შეუწინარებელი შექცევებით არის გავსებული, დეკანოზოლოთ რამდენიმე იმათგან: მეთათ გვერდზე ავტორი მოგვითხრობს, რომ 1857 წელს, როცა იღ. ჭავჭავაძემ პირველი ლექსი დაბეჭდა, ქართული ქუჩა-ნალი, „ცისკარია“, გამოდიოდა გაიარდა ერსთავის რედაქტორთანოთ. მაგრამ ჩვენ ვიცით (და განა ბ-ნი მეგახლავარის გარდა ვინ არ იცის დღეს?) რომ გი-

ორგი ერისთავი მხოლოდ ორი წლის განმავლობაში იყო „ცისკარის“ რედაქტორათ, ე. ი. 1852—3 წლებში, და შემდეგ სრულიად დაანება თავი რედაქტორაბას, რის გამო თვით „ცისკარის“ გამოცემაც შეწყდა. 1857 წლიდან შედგა სრულიად ახალი წრე ქართული ჟურნალის გამოსაცემათ და „ცისკარი“ ისევ განახლდა იე. კერესელიძის რედაქტორაბოთ. ამ წრეს ასუღღმდებულენ: ლავრ, არაბზანი, ალექსანდრე სავანელი და მიხელო თუმანიშვილი. არც ერთ ამათგანს ბ-ნი მეგახლავარ არ ასახელებს თავის სიაში, სადაც მას ჩამოთვლილი ჰყავს სრულიად შემთხვევით თანამშრომლები მაშინდელი „ცისკარის“ (გვ. 10 „შენისშენა“). იმას, ვინც „ისტორიული კრიტიკის“ კოდნას ჩემულობს (გვ. 8) და მაღალ სუერებში ფართო-ფურთაბს, ასეთი უბრალო რამეების უკოდნელობა არ მიეტყვება, არ მიეტყვება მით უფრო, რომ იმ ხანებში ჩვენ ერთი მკლე ქუჩინალის მეტი არა გავაჩნდარა.

ლიტერატურული და ისტორიული შეკლმამა აგრეთვე ავტორის შემდეგი მსჯელობა: „ილია ჭავჭავაძე ჩვენში უნდა ჩაითვალოს მამათ ბელეტრისტიკის რეალურის სკოლისას... იღ. ჭავჭავაძემ პირველმა გუჟგუათ ჩვენში სასქუდა და მისცა მნაშენქლას პრზის“ (გვ. 40). რასაცირველია, თუ მთელი ერის ლიტერატურაში თქვენ მხოლოდ ერთი მწერლის საბელი იცით, მაშინ შეგიძლიათ ყოველივე მას მიწაწერიოთ, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება იმის თქმა, რასაც ბ-ნი მეგახლავარ ზვეით მოყვანილ სიტყვებში ამბობს იღ. ჭავჭავაძეზე. და მართლა, ვინ მისცა პირველათ ჩვენ ახალ მწერლობაში მნიშვნელობა პრზას, ე. ი. ნამდვილ საერო, ხალხურ კოლოს, და ვინ უარჰყო საბუთამოთ ძველი მწიგნობრული, საეკლესიო ენა? ასეთივე იყვენ პირველათ გიორგი ერისთავი და მეორეთ ზურაბ ანტონოვი თავინთ კომედიებში, რომლებიც დღემდის საუკეთესო პიესებათ ითვლენიან მთელ ჩვენ ლიტერატურაში). ვინ უნდა ჩაითვალოს ჩვენში მამათ ბელეტრისტიკის რეალური მიმართულებით: ისტორიულმა კრიტიკამ ასეთი ალაგი უნდა დაუთმოს ლავრ, არაბზანს, შეკუდანჰუჟლას“ ავტორს. ახლა ვიცთხოთ: ვინ შეძინა ქართულ მწერლობას მოთხრობა ქართულ ნიადაგზე ავებული, „ქართველების ცხოვრებიდან ამოღებული“ დანიელ ჭონქაძემ თავის „სუჰამის ცასე“, თამამათ შეგვიძლია ვთქვათ ჩვენ. რაც შეეგება ილია ჭავჭავაძის მოთხრობებს, აქ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ უმთავრესი იმათგანი, რო-

*) გიორგი ერსთავის შესახებ ეს პირველათ ჰქალას ამსკლანას ჯინსნა.

გარკ, მაგ., „ჯაჰის ნამუზაი,“ უცხო ნიადაგიდან არიან გაღმორღებულნი, და ამიტომ იმათში ნამღვილი ცხოვრება ძლიერ მკრთალით იხატება.

ამ მოკლე შენიშვნაში შეუძლებელია ბ-ნ მე-ვახლოვარის ყველა შეცდომების აღწერა ამიტომ ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით ავტორის წმინდა ზაფხურ მსჯელობაზე ესტეტური კრიტიკის შესახებ, რომლის „უტყუარი და ქვემარტივი სახამი,“ თურმე ნუ იტყვით, „საშუალო ყალიბის კაცის გრძობა და შთაბეჭდილება“ (გვ. 34). და არც იმაზე, რომ ეითომც „პოეზიაში ფორმას, გარეგნობას, სულ მდაბალი, უკანასკნელი ადგილი უჭირავს.“ (გვ. 30)• ეერ გავიგია აგრეთვე, თუ რისთვის აუფისა ავტორის თავის წინაქი სულ უადგილოა და გაუგებარი ფრაზებით და ლექსებით უცხო ენაზე, რომლებიც სრულებით არაფერს არ ეკვრებიან, „III EN EST, III EN POIX“•-ო, რომ იტყვიან.

დროა ზღაპრებს დავენებოთ თავი, ლათაიები უკუ-ვაფილო და მართალი სიტყვა ეუთხრათ საზოგადოებას ჩვენი წარსულის შესახებ. ავერ მგოცო საუკუნე კარზე მოგადგა, და ჩვენ ისიც კი არ ვიცით, თუ რას აკეთებდნენ ჩვენი მამები ამ ოცი თუ ორმოცი წლის წინეთ. სად არიან მაშინდელი ამბების მკოდნე პირები? დარწმუნებული ვართ, რომ ბევრი მათგანი კიდევ ცოცხალია და ვაძმოცემის ნიჭიც აქვთ მაშ, რას უყურებენ? ხომ ხედევენ, რომ მევახლოვარები ათასგვარ უფიცობას და ქორს თესენ და ავრცელებენ საზოგადოებაში საკვირეელია ჩვენი საქმე! ჩვენ ისეთ უბედურ ვარსკვლავზე ვართ დაბადებულნი, რომ ჩვენი წარსული ვითარების შესწავლა და გავაბა სრულიად არ გვეხალისება და გვეინტერესება. ამისთანა გულ გრილი ხალხი გავიხილა? არ შეგვიძლია აქ არ მოვიყვანოთ შემდეგი სიტყვები, წარმოთქმული ერთი ჩვენი პუბლიცისტის მიერ ამ 23 წლის წინეთ, რომლებითაც ის უსაყვედურებდა თანამედროვე საზოგადოებას ამავე გულ გრილობას: „გასაკვირვლათ და სასარცხოთ როგორ არ უნდა მიგვიჩინდე, რომ ჩვენ თითქმის სრულიად არა ცოცხალთა ისეთ შესანიშნავ მოკლენაზე ჩვენს ცხოვრებაში, რომელიც ამ 40—50 წლის წინეთ ყოფილა“). თუ ამ დროინდელი ჩვენი ლიტერატურული მოძრაობა ასე უცნობელი და შეუნიშნავი რჩება ჩვენთვის, თუ იმის გაგებაც ვეკვირის და არ გვეხალისება — რა მოუქმდნათ ჩვენს მამებს, მაშ ჩვენი წინაპრების, წინა საუკუნოების ჩვენი ცხოვრება, როგორ ძნელი შესატყვისი და უინტერესო უნდა იყოს ჩვე-

ნთვის... ყველაზე უფრო გვაკვირებს ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ თვით იმ დროს ცხოვრებაზედაც რომელმაც თითქმის ჩვენ თვალ წინ გაიარა, არა ვიცით, და ისინი კი, ვისაც ეს წარსული ახსოვს, თითქო რაღაც საიდუმლოების ფარდას აფარებენ მას“•). ამ სიტყვებსაც იგივე ბედი ეწვია, რაც ხმას მალაღებელია უდაბნოსა შინა!

ფ. მასხაყ.

ს. სნაგა
(სიღნაღის მხარე)
9 ივლისი.

P.—S. ბ-ნი მევახლოვარ უკანასკნელ ვერღზე უცხადებს მკითხველებს, რომ „ამ პირველ წერილს საზოგადო. ხასიათი ჰქონდაო“, ხოლო „მეორე წერილს“ ვუძღვნი ილ. ჭკუევაძის თხზულებათა ლიტერატურულ კრიტიკას“, ოინებიც სწორეთ ასეთი უნდა! თუ ამ „პირველმა წერილმა“ არ დაგაკმაყოფილოთ, მოიტადეთ, ჩქარა მეორე წერილსაც გამოცემო! მაგრამ ნურას უკაცრავათ, თუ მეორე წერილს“ არ დაუწყეთ ჩვენ ლოდინი. „მეორე“, რომ „პირველის“ სიტყვა-სიტყვით განმეორება იქნება, უფრო გაზნეადებული, რასაკვირველია, ამაში ჩვენ დარწმუნებული ვართ.

ფ. მ.

თხზულებანი მამია გურიელიისა.

მ იდი დრო და ჭამი არ გასულა მას აქეთ, როცა ყოველგვარ ლიტერატურულ ნაწარმოების დასაფასებლათ ეწერა და თავისებური შეხედულება არსებობდა. ყოველნაირ ლიტერატურულ შრომას ერთგვარი საზომით ზამავდენ, ერთგვარ კანონებს უყრდენ; თუ თხზულებაში ეს კანონები დაცული იყო, მაშინ ის საუკეთესო ნაწარმოებათ ჩაითვლებოდა. ყველას, ვინც ბუალო იცოდა და რითიმების მოგონებას მოახსრებდა, შეედლო პატენტარი არისტარხებისა და მეცენატებისაგან თავზე ხელის გადასმა დემსახურება და საქმე განარხული იყო; პოეტის სახელსა და დიდებას მოიხევედა. მწერლის ფსიხილოგიას, ზნეობრივ და გონებრივ ფიზიონომიას, საზოგადოებას, რომელშიაც ის ტროალებდა და რომლის გავლენას ქვეშაც იმყოფებოდა, —ამგვარი არისტარხები მხედველობაში არ იღებდენ, ყურადღებას არ აქცევდენ. ლიტერატურა ცხოვრებისათვის არ არსებობდა. მეცხრამეტე საუკუნეში მოწინავე ხალხთა

5) „კეტრას,“ რასაკვირვლათ ამ საუკუნის „ყოველ-ათე, წლები აქც მსჯელობაში, მარა ეს სულ უკრთათ.“

6) სიტყვები „სურგაი მესხისა,“ ის „ჯაზ. დროება,“ 1875 წ. № 50.

ცხოვრება შეიცვალა, სოციალურმა და პოლიტიკურმა სახემ ფერი იცვალა და ეს ცვლილება იმდენათ მძლავრი იყო, რომ ყოველისფერი თავისკენ გაიტაცა, ყოველისფერს დადი დაპირა. ლიტერატურაც ცხოვრებას დაუკავშირდა, მისი გამომხატველი, გამოჩნქვენი და ხშირათ გზის მაჩვენებელიც გახდა. შეხედულებამ ლიტერატურაზე, მის დანიშნულებაზე, მისი ღირსების ასანამ და დაუსაგებამ სრულად სხვა მიმართულება მიიღო. დღეს უმრავლესობისათვის ცხადია, რომ მემკვიდრეობას, აღზრდას, საზოგადოებას და სხე. ყოველ ადამიანზე დიდი გავლენა აქვს. მართლაც და ყოველი ჩვენგანი ციდან ხომ არ ცივად ან დედის მუკლიდან განება დამწიფებული და სამოლოათ ხასიათგანმტკიცებული ხომ არ იზადება. მემკვიდრეობით ჩვენ თან დაგვყვება ერთკვარი ფიზიონომია: აღზრდა და იმ წინსვლა გავლენა, რომელშიაც ჩვენ ეტრიალებთ, ამ თანდაყოლილ თვისებებს და მიდრეკილებებს თავისებურ ელემენტს ადებენ და ავითარებენ კარს, ან კუდ მხარტებს, იმის და მიხედვით, თუ როგორია ეს აღზრდა და აღმზრდელი საზოგადოება. ყველა ამ ფაქტორების გავლენას ქვეშ ყოველ ჩვენგანს ებადება თვისებური მსოფლიო შეხედულება, ერცევა და ფაქტორდება ხასიათი. რასაკვირველია, სხვა-დასხვა პირობებზე, რომლებშიაც შეხედვში ადამიანი ვარდება, მის შეხედულებას და ხასიათს ცოტათ თუ ბევრათ ცვლის, ასწორებს, მარა მინც ზემოხსენებულ ფაქტორების ზეგავლენა იმდენათ მძლავრია, რომ მათი უნიშანწყლოთ არსებიდან ამოშლა არავ თარ ძალას არ შეუძლია; მათა გავლენა ადამიანის ყოველგვარ მოქმედებაში გამოსტყევის, ყოველ ჩვენგანს აქვს ავრთვეთ თავისი ინდივიდუალური განსხვავება, მარა ეს განსხვავება ზემოთნათქვამ ფაქტორებს არამც თუ არ ეწინააღმდეგება ღ არ მალავს მათ გავლენას; პირიქით თითონაც ამ ფაქტორების ნაყოფია. ამიტომ, სანამ მამიას თხსულებების ვარჩევას შეუდგებოდეთ, საქორა, ვაგვიროთ ის საზოგადოება, რომლის ზეგავლენას ქვეშაც იმყოფებოდან პოეტის ნორჩი ბუნება, მემკვიდრეობით გაღმონაცემი სიმდიდრე და აღზრდა, რომელიც მან მიიღო, რადგანაც ყოველივე ეს გასაგები იქნება მისი პოეზიის ასახსნელათ. ამით ჩვენ დავიპაავთ, რადგან ცხადია იქონიეს მამიაზე ყველა ამ პირობებმა და რაში დაეტყო ეს გავლენა მის თხსულებას? თუმცა ერცელი წყაროები არა გვაქვს იმ „დარბაზის ერის“ დასახსიათებლათ, რომელშიაც ნორჩი მამია ტრიალებდა, მარა, თუ ჩაუვკვირდებთ ჩვენი დროის თავადობას, შევიძილან, მკირეოდენი წარმოდგენა, ექიპონოთ იმის შესახებ, თუ რა უნდა ყოფილიყო მისი წინაპარი—მეორმოცე წლების თავადობა? თუ

მაიეშველებთ თვით მამიას და მის ბიოგრაფს, მამიან დახლოებებით თვალწინ დაგვხატება ეს წრე თავისი ღირსება-ნაკულულებებით.

ჩვენი ერის დღევანდელი ცხოვრება ძალიან ბევრში განირჩევა მეორმოცე წლებისაგან. ისტორიული პროცესი სხვა-დასხვა ერში სხვა და სხვაა, როგორც ამოვს პოეფ. მილუჯოვი, მაგრამ განვითარების ძირითადი მიმართულება კი ყველგან ერთგვარია. რაც შეეხება საქართველოს, შეიძლება მისი ისტორიული პროცესი სრულიად სხვა იყო, ვიდრე დასავლეთ ევროპაში, მარა ამ საუკუნედან ჩვენი ერთი ბორძიკით მისწრაფის იმგვარ გზისაკენ, რომელიც ევროპამ უკვე გაიარა და მამასადამე ჩვენი ისტორიული განვითარება დასავლეთ ევროპის ისტორიულ მსვლელობას ემზავსება — თუ მეორმოცე წლებში ამ მზავსების შესახებ ღაპარაკი იყო შეუძლებელი, რადგანაც მას ვერავინ ხედავდა, ახლა ვაშულებამ არის შეუძლებელი, რადგანაც მას დღეს ყველა კარგათ ხედავს, ბრმის მეტი. მეორმოცე წლებიდან ჩვენში სწავლა-განათლება თან-და-თან ერცელდება, ლიტერატურა, თეატრი იფურჩქნება, ფეოდალური წესწყობილება თან-და-თან სუსტდება, ხალხი სოფლებიდან ქალაქებისაკენ მისწრაფის და მოქალაქობრივ ცხოვრებას იწყებს. მესამოცე წლებში ბატონყმობა ისპობა, ადამიანის შრომა თავისუფლდება, წოდებრივ ურთიერთობას ნიადაგი ეცლება, გონომიურ და სოციალურ ცვლილებას კი ნიადაგი უმზადდება. მართალია, ბატონყმობის მოსაპობა ქართველი ერის შინაგანი ცხოვრების მოთხოვნილებით არ ყოფილა გამოწყვეული, ქართველ გლეხს იმ განვითარების საფეხიდანვე ვერ ვერ მივლიყ, რომ ამ გვარი ცვლილება მსთვის აუცილებელ საქორებათ გამზარეყო, და ამიტომ ბატონყმობა კარგა ხანს ნამდვილათ ისევ ძალაში დარჩა და დღესაც ძლიერია: ზემო იმერეთში აქამდე გლეხობის უმეტესი ნაწილი ისევ ბატონის ხელშია და უწინდელი ყმისაგან მზოლოთ მით განირჩევა, რომ მას ბატონი ვეღარ ვაგვიდის, სხვით არაფრით; ზემო ქართლში ისეთივე სამსახური არწეს გლეხს კისრზე, როგორც ყოფილა ბატონყმობის დროში *), მარა საქმე იმაშია, რომ ადამიანი განთავისუფლდა, თავის თავის ბატონი გახდა და ვისაც შეეძლო, ამ თავისუფლებით კიდევ ისარგებლო და ახლაც სარგებლობს. მესამოცე წლებიდან მოკიდებულა ჩვენ ცხოვრებას ცვლილება უფრო დაეტყო. ისტორიულმა მსვლელობამ ჩვენშიც დააბდა ის ფერმენტები, რომლებმაც დასავლეთ ევროპის ცხოვრება სრულიად ვადატრიალეს, პოლი-

*) იხ. „გაბაძა“, № 52. 97 წ.

ტიკურ, სოციალურ და ეკონომიურ სფერაში გასა-
ოცარი ცელილება მოახდინეს, წოდებრივი დაყოფა
მოსაეს და ხალხი ორ დიდ კლასათ, ორ მოპირდა-
პირე ბანაკთ განაწილეს. ეს ფერმენტები მრავალდ-
ბიან, ძლიერდებიან და ჩვენ ცხოვრებას თან-და-თან
აღუფებენ. აზნაურობის უმეტესი ნაწილი გალარობდა,
ქონებრივთ ვაგლენაკდა და გლენაკეს გვერ-
ში ამოუღვა, მას შეუერთდა, თუმცა ეს შეერთება ჯერ
ჯერობით ძალიან ეხამუშება და დაკარგულა ღირსე-
ბის წარმოადგენით ირთაზს და ინუგეშებს თავს, გულს
იქარებს. თავადობის ერთი ნაწილი დღეს თან-და-
თან ღარბდება და საცაა, ისიც ვაგლენაკედება ქო-
ნებრივთ, გლენაკეს შეუერთდება. აზნაურობისა და
გლენობის კისრვადენა ნაწილი გამიღრდა, ქონებ-
რივთ გათავადდა, შეერთდა და ადგენს ახლა მე-
ამე წოდებას. მართალია, ეს ნაწილი ჯერ რეოლუცი-
აღე არაფერი არ იყო, რეოლუციის შემდეგ ერთობ
პატარა, და მიკროსკოპული, ვახდა მაკრამ მისი უარის
ყოფა დღეს აღარ შეიძლება; დარჩა თვის ალო-
აგას თავადობის მეორე ნაწილი, რომელიც შეგვი-
ძლია, მეორამოცე წლების თავადობის ნამაღილ მემ-
კვირვთ ჩავთვალთ, მხოლოთ იმ განპარტებით,
რომ ახალ ცხოვრებას ამ მემკვიდრის გონებრივი და
ზნეობრივი ფიზიკომიისათვის უსათუთ თავისი და-
ლი უნდა დაეჩინა, ახლა გადააღვთ მას თვალი და
დინახავთ, რას წარმოადგენს მისი ცხოვრება? თამა-
მათ ეიტყვი, რომ უმეტესი მათგანის ცხოვრება ცა-
ლიერია, უმიზნო, უიდეალო, უაზრო, შესაფერ ვა-
ნათლებას მოკლებულია და დაბადებიდან მო-
კილებული სიცილილამდე მათი ერთათ ერთი საუიქ-
რებელი და საზრუნელი ის არის, როგორ ვიქვიფთოთ,
როგორ ვავატაროთ საუკეთესოთ დროეო. თუ კი ახ-
ლანდელმა ცხოვრებამ ამათ ბუნებაში ასეთი დამა-
ციერებელი მიმართულება არა თუ ვერ ამოშალა,
ვერც კი დაასუსტა, მეორამოცე წლების თავადობა
რალთ იქნებოდა ამკარა ვახს აცილებული, როდენ-
საც მას ყოველისფერი: ახლობელი ტრადიცია, ცხოვ-
რება, მემკვიდრეობა, მდლომარეობა, სოციალური პი-
რობები — ყოველისფერი ხელს უწყობდა, რომ ამგე-
რი შეხედულება ცხოვრებაზე ღირსეულ და უტ-
ყუარ მცნებათ მიეჩინა? ახლა თვით პოეტსა და ბი-
გრაუს მემგართოთ; ენახთ, ისინი რალას გვეტყვიან.
პოეტის მამის, დავით გურიელის, სასახლეში განუწ-

ყვეტილე თავმოყრილი იყო გურიის საუკეთესოთა
ვად-აზნაურობა; იქ მუდამ ღონი, მუდამ დროს ტა-
რება იყო. დღეში ორ ძროხას ქამდენ და
უაზრო შაირებთ ერთმანერტოს ელაზლანდარავე-
ბოდენ. განვიბარებას და განათლებას მოკლებული
იყვენ. სახარებას და გეგუხის ტყოსანს არც ერთი არ
გაცილებოდა. თუმცა ევეფხის ტყოსანს ქართვე-
ლების ენციკლოპედია იყო, რომელსაც ბეერს გო-
ნება ვერც კი ინებებდა, მარა ჩვენ ამას განათლე-
ბას ვერ ვეტყვით მეცხრამეუე საუკუნის დამდეგს.
თანამედროვე კაპობრობის ცხოვრებაში სრული
უფიცივი იყვენ, მისი გონების წინმსვლელობაში სრუ-
ლი უმეცარნი და, რასაკვირველია, ნორჩ მამიას
სულსა და გულს ვერავითარ განმავითარებელ მას-
ლას ვერ ზიანდიდენ. მამიას ლექსებიდან ჩანს, რომ
მისი მშობლები სიმპატიური პირები იყვენ; მამას მამა-
მია, რაშიდის პირით, „სამშობლოს სვეტსაც“ კი
უწოდებს, მაგრამ თვით მკითხელებისათვის მიგვი-
ღვია იმის გამოცნობა, ვის უფრო მეტი გავლენა ექ-
ნებოდა პოეტზე, მშობლებს, თუ გურიის საუკეთეს-
ო წარმომადგენელთა წრეს, მევე იმ დროს, როცა
ჩვენში დედ-მამა შეიღის აღზრდას ნაკლებ ყურად-
ლებას აქცევდა. სასახლეში შეგროვილი გურიის არი-
სტოკრატია ბატონ-ყმურა იდეალების საუკეთესოა წა-
რომადგენელი და განმხორტავებელი იყო და ამ
იდეალებს უწერავდა ნორჩ არსებას, რომელზედაც
აღზრდას და შთაგონებას ძალიან დიდი გავლენა აქეს.
თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ გვარ აღზრ-
დას პოეტის ბუნება ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ
გაუწევდა, რადგანაც ერთი მხრივ ეს წრე თავისი
ზნე-ჩვეულებითა და რწმენით მაშინდელი დროის
საქართველოსათვის სრულიად ბუნებრივი იყო, და
მეორე — თვით მამიას მემკვიდრეობით უნდა ჰქონოდა
ამპარტავენობა, ბრძანებლობა, ვაჟკაცობისა და ფუქსა-
ვართ ცხოვრებისაცენ მიდრეკილება, ამგვარ შეხედუ-
ლებას ითვისებდა ამ წრისაგან მომავალი პოეტი, პატარა-
ბობიდანვე მამია ისეთ პირობებში ჩაყენეს, რომ
მის არსებაში უთუთათ უნდა განვითარებულიყვენ
მემკვიდრეობით ვადმოცემული ამპარტავენობა, მელი-
დურობა, სხეისი პიროვნების დამცირება და ბეერი
სხვა ბატონ-ყმური პრინციპები. მას ჰქონდა საკუთარ-
ი დარბაზი, ჰყავდა საკუთარი ამაღა, რომელიც მის
ყოველგვარ ინსტიქტს გუნდრუეს უყმევდა, მის ყო-

ველ სურვილს, ქირველუობას ჭინიანობას მორჩილათ და მოწინებით ასრულებდა. ბავში ხედავდა, რომ მამა მისს ახლდენ:

ასობით ვაჟნი, თავზე მდგომეღნი,
მხად აღჭურვილნი, მღოღნი, მოსკე,
მის თვალთა ქნეკს, უტყუად რომელნი
აღსრულებდენ ამჟ წამსვე.

და თავის თავსაც პატარა მეფეთ წარმოიდგენდა თავის ამაღაში, რადგანაც მიშბამელოობის ინსტიქტი ბავშვს ძალიან ძლიერი აქვს. გამოელციებოდა თუ არა ბატონიშვილს, ერთ აზნაურს პირი უნდა დავბანებოდა, მეორეს ტანისამოსი ჩაეცმა, მესამეს სუფრა გაეშალა და საუხზე მიერთებოდა, მეოთხე მერიქიფეთ თავს დადგომოდა, შემდეგ ბატონისშვილი სასახლეში გამობძანდებოდა, დედ-მამას და დამებს ინახულებდა და გავრეოდა „ღარბაზის ცრში.“ გათენდებოდა თუ არა, დაიწყებოდა ბურთობა, ჯირითი ან ნაღირობა ქორ-მეძებრებით, საღამოც მუდამ ღვინში და ღროს ტარებაში მიდიოდა, ხანდახან თუ

ზექსს მოსწრეულებს, ლექსებს,
ერთმანეთს სწრაფთ ესწრაფენ,
რუსთველის ნახდენაკებს
ზეშინათ იმეორებდენ.

ამასაც მხოლოდ ღროს გატარებს-სათვის ჩადიოდენ და არა გონების ვარჯიშობა-განსაფიქრებლათ. ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი გამოაშორების სმენამ გაუღვიძა და გარუფიქრება მამიას ლექსების თხზვის სურვილი და არა პოეტურმა ფანტაზიამ. ამას გვიმტყცებს ის გარემოება, რომ მაშინ სულ პატარაობისადე დაიწყო ზმებით გამოაშორებამ; ამ გარემოებას დიდი ქებითა და ზეიმით მიეგებებოდა, ჩასაკვირველია, ყველა მსქენელი და ამით ეს სურვილი მამიას უფრო გაუძლიერდებოდა; ვარა ამისა ამასვე მოწმობს პოეტის მთელი თხზულება, რომლის პოეტურ ფანტაზიას სუსტი ფრთები ასხია.

როცა „ღარბაზის ცრა“ შიარებით ვაჯერდებოდა, ჩანგურიცა და ქალღმ-ს სიმღერით სმენას იტყობოდა, როდესაც ამითი დაიკანცებოდა, ვახშმით დასხდებოდა, კიდევ იქიფებდა, იმზიარულებდა და ბოლოს დაიძინებდა; მაგრამ, გათენდებოდა თუ არა, მსახური ისევ ეახლებოდა:

„სქამთ საუხზე, დაწია.“

თუ როგორი იყო ეს საუხზე იქიდან ჩანს, რომ ქათმები, შეწეწარი კრავი, ხბო, ხაჭაპურები—თავზე საყრელათ მოდიოდა. დასხდებოდენ და გამიართებოდა ღვინოში გამოჯობებოდა. როცა ასეთი საუხმით გამოძლებოდენ და გამოთვრებოდენ, ვაე-

შურებოდენ მუხას ქვეშ და იქ თავს იყოლოდენ კადრაკის თამაშით, სანამ კიდევ არ მოხვდებოდათ. ხშირათ მოთამაშებებს ჩხუბი მოდიოდით და მარტო უშვრის სიტყვებით კი არა, ხმლებითაც კი მიწეედენ ხოლმე ერთმანეთზე, რაც მაყურებლებს უფრო ართობდა და მზიარულებას უმატებდა.

მზე გაღვიდა შუადღეზე,
მოკვდა ღრო სხადღის.

თამაშით მოქანკულინი სადილის მისართევეთ მიდიოდენ. არც ერთ მთვანს სმა და მიღებნა არა ძულს: ყველა თავის გულში ამბობს:

ნეტუე აქ ჭიფის და სმაში
ვინ არ მოიღვინს, განსტკება!

მიუხედავით იმისა, რომ ისეთი მაღიანი საუხზე მიირთვებს, სადილს ისე შეექცეოდენ, თითქო საუხზე კი არა, წინა დღის მარხული ყოფილიყო; სიმღერით თავს ირთობდენ, ვაე-კობას ღვინოში ცდიდენ. ამ გეგართ სასახლის არისტოკრატიის ცხოვრება თაყიდან ბოლომდე განუწყვეტელ ქვიფს წარმოადგენს; მისი ერთათ—ერთი მცენება კუქის მრწამსია. გასაღაცარა სწორეთ, როგორ შეუძლია ადამიანს მთელი თავისი სიცოცხლე ამ გეგართ გაატაროს; და თუ ატარებდენ, ის იმას ნიშნავს, რომ გონებით ძალიან დაბალ საფეხურზე იდგენ. ამ გეგარი ცხოვრებიდან მხოლოდ ერთი ნაბიჯია იმ ველურის ცხოვრებამდე, რომელსაც ორი ცოლი აქეთ-იქით უხსნდა და, რადგანაც თითან ქამით დაღუღული იყო, ისინი ძალით ტენდენ პირში ეყვებურთლა ლუქებს; როცა ქონი ღოკებზე გადმოდებოდა და მეტო სიმღერით ქშინავდა და ხენეშდა, მის სახეზე ისეთი ნეტარება იხატებოდა, თვალები ისეთი სიამოვნებით და ემაყუფილებით გამოიყურებოდენ, რომ თავისთანა ბედნიერი ქვეყანაზე აღარავინ მიანდა. ამ გეგარ საზოგადოების გაყლივას ქვეშ იძყოვებოდა მამია დაჭაბულკებამდე. ამ ხნის განმავლობაში ხუცური და ქართული წერა-კითხვა შესისწავლა. მისი გონების მთელ საზრდსა და ავლა-დიდებას, რამდენიმე გაზეპირებული ლოცვა წარმოადგენდა. მის მომავალზე არავინ ზრუნავდა. ისიც დანავარდბდა სასახლის გოგონებში, რომლებიც ახალგაზღ ბატონისშვილის ყოველგვარ სითამამეს დიდ წყალობათ და შედინებრათ იღებდენ და, რა თქმა უნდა, მამიაც ძალიან ადრე აყვეებოდა ცნებათა ღელვას. შემდეგ მამიამ ისწავლა რუსული წერა-კითხვა, შევიდა ქუთაისის გიმნაზიაში, ორი სამი წელიწადი დაყო იქ, „სახანაურა“ კლასამდისაც კი ვერ მიაღწია ტ გამოვიდა. აი მამიას მთელი სწავლა განათლება, რომლისათვისაც შემდეგში ბევრი აღარა მი-

უმეტებბარა. აი როგორი გონებრივი სიმდიდრით გამოვიდა ის ცხოვრების საზრებლებ!

მ. გამარჯვლი.

(შემდეგი იქნება)

„ბ ა ხ ი.“

(მოთხრობა)

(დასასრულად) *

ვ

სტრენა ნილაბადის რძალი, მართა, და მისი მოტრფილად მაყარი, ახლა კი ჩვენნი ნაწილობი ბაბუ, გამოვიდენ საქარწილო სახლიდან ისე ფრთხილათ, რომ მათი გარეთ გამოსვლა თითქმის არავის შეუტყვია. როგორც კი გამოვიდენ გარეთ, ბაბუ გადახეცია ქალს და უნდოდა ტყბილათ ჩაეკონა იგი, მარა ქალმა გულზე ხელი ჰჭრა და თანვე წაუჭრებულა: „ჯერ მოიცა, შეგეტყობენ!.. აგერ იმისთანა აღაგას წავიდეო, რომ იქ, თუნდ საწაფლითაც ვგვებნონ, ვერ ეგნახონა“. ბაბუს მოეწონა ეს რჩევე, ქუაუნი მოუვიდა და წაყვა ქალს, რომელმაც იგი საღორესთან მიიყვანა, გააღო საღორის კარი და უთხრა, რომ შესულიყო, — მეც შემოვყვებიო, დაატანა ქალმა. ბაბუმ დალუნა თავი და შეღასავით შეძერა საღორეში, სადაც ტუხლამდის ეყარა ღორის ბუნავი, და მოიკალათა შიგ. ქალმა მარდათ გამოაზხრა საღორის კარი, გაუყარა შიგ ურდული, დაამე ნებისო, უთხრა და მიატოვა ბაბუ შიგ, — უფრო ტყბილათ დაეძინებოთ. თითონ კი წავიდა შინ, სადაც უკვე ალაგებდენ სუფხას. მაყრები დაწოლილიყვენ; მხოლოდ ერთი კი ისევ შეეძკვარა: ამას მოედგა გვერდით ერთი ხელად დეფთო, დეკავა ხელში გუჯის ფეხი და დაყვიროდა თავზე; გათენებამდის არ დაუძინია, ისე ღრიალებდა.

გორაკობის თვის უმთვარო დამე იყო. ცასპირი მოეწმინდა და მით უფრო მეტი სიცივე იდგა სოფელში. ყველას ეძინა. ღრმა ძილში იყვენ ანტონას სუუმრებიც; ისინი ევლარას გრძობდენ, ვეაზენ, როგორც ბრძალის ევლებ დაკრილები, —ვის სად ჰქონდა თავი, ფეხი არავინ იცოდა, არ ეძინა მხოლოდ იმ ერთს, რომელიც გოჯის ფეხს დაყვიროდა; არ ეძინა ბაბუსაც. აბა რა დაძინებდა!, იმედი გაუტრედა. ქალისაგან მოატყუებული შეიქნა! კუთვდა,

წეალობდა, იტანჯებოდა, მარა მშველელი, მხსნელი! არსათ იყო!.. მოინდომა როგორმე გარეთ გამოსულიყო და საღორეში წოლას, თან დიდ სირცხვილს გადაჩენილიყო; ამ აზრით მან დაუწყო ნგრევა ჰერს და საღორის კედლებს, მარა ამით. შეეცადა საძირველ ქვეშ გამოეგრეთა ყორე, რომლის ნგრევასაც იგი დაევეული იყო, მარა ყოველივე ცდამ ფუჭთ ჩაუარა! ანტონა ნილაბადემ კარგათ იცოდა ღორების ამავი: თუ მით მაგარ ჰერს-კედლიან საღორეს არ გაუეცებდა და საძირველ ქვეშ საგულდა-გულო ყორეს არ გამოუშენებდა, ისე ღორები საღორეს გამოანგრევედენ და გარეთ გამოვიდოდენ. ბაბუს მხაურობაზე გამოვიდნა ღორს, რომელსაც საღორის მეორე თვალში ეძინა, და რომელიც ბაბუს ოთახისაგან იყოფოდა მაგარი ხის კედლით. ღორმა გამოჰყო ცხვირი ერთს დიდ ქუქურტანაში და დაიწყო ღრუტუნნი, თითქო ეკითხებოდა: აქ ვინა ხარ, საიდან მოსულხარ და რას აკეთებო. ბეკრი იღრუტუნა და რა კი პასუხი ვერ მიიღო, ერთიც ამოინგნემა და ბუნავში გაეხეცა. გულში კი ჰფიქრობდა: ნეტა ვინ უნდა იყოს ეს ჩემი ახალი მეზობელი? ეს ვილაც სხვა ღორი უნდა იყოს და ამ სხვის საღორეში რომ შემოსულა, როგორ გაბედავ?,

ბაბუ, რა კი გარეთ ვერ გამოვიდა, შეეცადა დაძინებოდა მაინც, რომ ძილში ვაგერო თვისი ჯავარი და ნაწელით ის ჩაწვა ბუნავში თვალები დასუქა, მაგრამ დიდ-ხანს მაინც არ დაძინებია.. მას თვალწინ უდგა კველუტი მართა — თავის ლამაზი ყელ-კისრით და მკერდით; მაგრამ ამასთანავე წარმოიდგენდა რომ მართამ ის მოატყუა და საშინლათ ამოიხონა. ვდა ხოლმე... გამიმეტა იმ ურჯულომამ; ამობდა, ამას გარდა ბაბუს გულს უწყლიდა იმ მთვრილი კაცის ყვირილი, რომელიც გოჯის ფეხს დაყვიროდა. ავი დედა! შენ მანდ დროებას ატარებ და მე კი აქ ბუნავში ვვდივარო. გულ-ნატყენათ ამობდა იგი, ამასობაში ბაბუს ჩაეძინა, მაგრამ ვერც ძილში ნახა საზარელი მოსვენება! — გამზლილი სუფხა და კველუტი მართა; ამისგან დაძინება და მატყუება; საღორეც და ღორის კითხვები და იმ თავზე ხელ-აღებულ კაცის ყვირილი, — აი, რა და რა სურათები ელანდება მას ძილში. ბოლოს ვითომ კიდევ გათენდა; აი სადაცა გამოუშვებენ გარეთ და სირცხვილს რაუას დაძებნს, თუ კი საღორეს გადაუჩინებია. —

ამ დროს — ვითომ კი არა — მართლა გათენებულ იყო. მაყარი ფეხზე იდგა და ლაზლანდარობდა... მთვე-დღეოვლი ხელი-ხელ ჩაქიდებულნი ეწაში მიდი-მოდიოდენ. ვილცამ ბაბუ იკითხა: ნეტა სად არის, ანდენ ხანს როგორ ვერ გამოვიდნა. ამ დროს მართა გამოჩნდა და მაყრებს უთხრა: — რომელმა თქვენში ყველაზე კარგი მსროლელი?

*) ის. „გალო“, № 30.

— რა არის მოსაკლავი, ქათამი თუ ძროხა?
იციოთა ვილაკამ.

— არა! არც ქათამი და არც ძროხა.

— აბა რა არის?

— არის ერთი რამე...

— როგორ თუ ერთი რამე მანძეკ...

— რა და—ერთი მსუქანი ტახი მყავს დამწყვედ-
ულ ი საღორეში, ვინც იმას მოჰკლავს, ჯილდოთ
თუ: მივართმევი.

— აბა მოიტა თოფი, თქვა ერთმა და მართა-
მაც გადასცა მას გატენილი თოფი.

მსროლელს ვარ-შემოვიხეინ, ყველა დაჩივებას
და რჩევას აძლევდა, „არ შეგვარცხვინო“, ვუბნე-
ბოდენ. ამ დროს ბიჭმაც გააღო საღორის კარი. კა-
რის გაღება, ბახუს ვარეთ გამოხტომა და თოფის
გაგვარუნაც ერთი წუთის საქმე იყო. უცბათ ყველა
შეერთა და სახტათ დარჩენ... მერე კი ერთი სიცილო-
ხუმრობა შეიქნა... ყველანი და მათ შორის მართაც,
რომელმაც თურმე მართა წამლით გატენილი თო-
ფი მისცა მსროლელს, დიდ ხანს სიცილით თვალს
აღწევებდენ ქულ მოგლეჯილ, შევლივით მამარბე-
ნალ ბახუს-რომელსაც ხმაურობაზე გამოღვიძებოდა
და ყველთფერი ესმოდა, რასაც უპირებდენ.

თუმცა ეს ამბავი დიდ-ხანს ჰქონდათ სალაპარა-
კათ სიაფელში, — „ტახი“, „ტახიო“, დიდ-ხანს იბა-
ხოდენ; და ამ ამბავმა ქალაქამდისაც ჩააწია და „ტა-
ხის“ სახელი იქაც განთქმული შეიქნა ქალაქის ქუ-
ჩის ბიჭებში, რომლებიც ისე მიეჩინენ „ტახის“ ძა-
ხილს, რომ ვინც, კი გაივილიდა, ყველას „ტახს“ ეძა-
ხოდენ, მაგრამ არ იფიქრო, მკითხველო, რომ ბა-
ხუმ ამ სისაძაველში დალია სული, არა! იგი ამ
დროს მხოლოდ ოკ-დაათის წლისა თუ იქნებოდა
ამას შემდეგ იმან უარ-ქო ყოველივე ცული ჩვეუ-
ლება, მიჰყო ხელი მუშაობას და ავით დაწყებულ
კოცხლე ჩინებულათ დაავიერაგინა, თუმცა მთავ-
რობას ყველგან ემადებოდა, და „ტახს“ სიცილიამ-
დის ეძახოდენ.

დ. თამაშეაძი.

„ქაღალის“ ფოსტა.

ბ. მიქაძის წერილი ქუთაისში მომხდარ ინცი-
დენტის შესახებ ვერ იბეჭდება.

КЪ ВОПРОСУ

о поднятїи образованїя среди грузинскаго дворянства

გამოვიდა და ისეიღება წერა-კითხვის საზოგადოებას
წიგნის მალაზიაში. წმინდა შემოსავალი დანიშნულია
სასარგებლოთ დამშეულთა საქართველოში და რუ-
სეთში, ფასი ერთი აპაზი. ვინც ათ წიგნს და ან მეტს
იყიდის, იმას წიგნი დაეთმობა 16 კაპეკით. მყიდ-
ველთ უნდა მიმართონ ხსენებულ მალაზიას.

(4-1)

ბანკის ბაღის ბუფეტის პატრონი

ბ. სხირსულაძე

ამით აცხადებს, რომ კვირას, 26 ივლისს, სათავა-
დუნაურო თეატრში დამსწრე საზოგადოებას ბანკის
ბაღში შემოსვლის ნება არა აქვს უფასოთ ბან ალფ-
ქსანდროვის ბენეფისზე.

ამ ნომერთან ერთთა სვლის მომწერლებს
ურთიკებათ „ქართ. გამოცე. ამხანაგობის“
განცხადება.

თამარ ღებოშელის დიდი სურათა (ფე-
რადი წამლებით) დღის იქით გაიყიდება „ქაღალის“
რედაქციაში 1 მ. 50 კ. (გასაგზავნი ფოსტის ხარ-
ჯი 30 კ.)

საბავშვო წიგნი

„ბატარა ლორდი“

ჯეჯილის რედაქციის გამოცემა

თარ. ელ. წერეთლისა

ფასი 30 კაპ.

იყიდება, წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის
მალაზიაში და თვით ჯეჯილის რედაქციაში.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ. წერეთლისა.